ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-0126176613**
თარიღი: **25/06/2026**

ადრესატი: შპს რომკო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206312523
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვ. ჩიქოვანის ქ., N 1

თქვენი 2026 წლის 23 ივნისის №10/01261742569-61განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში: **სააგენტო**) და შპს „რომკოს“ (ს/ნ: 206312523, შემდგომში: **კომპანია**) შორის 2024 წლის 07 აგვისტოს გაფორმებული „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების“ (შემდგომში: **ხელშეკრულება**) 1.1 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, **ქალაქი თბილისში, სოფელი დიღომში, ფარსადანის ქუჩა №14 / ჭაშნაგირის ქუჩა №5-ში მდებარე** №01.72.14.034.646 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან №10/01261742569-61 წერილში მითითებული უძრავი ქონება, კერძოდ:

- სართული 3, ბინა №7, საერთო ფართი: 64,2 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი: 52,3 კვ.მ, საზაფხულო ფართი: 11,9 კვ.მ)
- სართული 3, ბინა №9, საერთო ფართი: 89,3 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი: 71,9 კვ.მ, საზაფხულო ფართი: 17,4 კვ.მ)

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში (მათ შორის, რაიმე შეზღუდვის/აკრძალვის/ვალდებულებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში).

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტოს 2025 წლის 11 ივნისის №61-01251623216 წერილით შეთანხმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართები სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უნდა დარეგისტრირებულიყო არაუგვიანეს 2025 წლის 11 სექტემბრისა. ვინაიდან, კომპანიის მიერ დარღვეულია აღნიშნული ვალდებულება, ხელშეკრულების 4.2 პუნქტის საფუძველზე, გეკისრებათ პირგასამტეხლო 2025 წლის 12 სექტემბრიდან 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც 2026 წლის 24 ივნისის მდგომარეობით შეადგენს - 28 600 ლარს და ზრდადია ვალდებულების ჯეროვნად შესრულებამდე - წინამდებარე წერილით შეთანხმებულ ფართებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე.

ასევე, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო 25 600 ლარის ოდენობით, რომელიც დღემდე არ არის გადახდილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უმოკლეს ვადებში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროთ წინამდებარე წერილით შეთანხმებული ფართები და ასევე უზრუნველყოთ დაკისრებული პირგასამტეხლოს სრულად გადახდა.

პირგასამტეხლო ირიცხება შემდეგ ანგარიშზე:

სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773287

პატივისცემით,

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი